საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 34 05/07/2016

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 ივნისის # 50/26 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით სააგიტაციო მასალების გამოსაფენად ადგილის გამოყოფის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 ივნისის # 50/26 განკარგულებაში

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით სააგიტაციო მასალების გამოსაფენად ადგილის გამოყოფის შესახებ“.

1. შეტანილ იქნეს ცვლილება განკარგულების სათაურში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ“

2.განკარგულების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 46-ე მუხლის მე-4 ნაწილის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად და „საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2016 წლის 3 ივნისის №03/06/02 განკარგულების გათვალისწინებით“

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 ივნისის # 50/26 განკარგულებით დამტკიცებულ #1 დანართს დაემატოს 21-ე პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბოძები (მუნიციპალური საკუთრება)“.

მუხლი 2. დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს განკარგულების (საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოყოფილი ადგილების თაობაზე ინფორმაცია) გამოქვეყნება ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოებში და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა #7).

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ინგა მაღრაძე



საკრებულოს თავმჯდომარე